ხელშეკრულება

2017/201

ქ. თბილისი

11 ---- 12 ---------- 2017 წ.

ერთის მხრივ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის პაპუნა შენგელაიას სახით, (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ შპს „სითი ლოფტი“ მისი გენერალური მენეჯერის ლევან ბერულაბას სახით (შემდგომში „შემსრულებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10.1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის შასაბამისად ვადგენთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შპს „სითი ლოფტი“ იღებს ვალდებულებას გაუწიოს ევროპელი და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს მომსახურება კერძოდ (CPV 55300000):

ოფიციალური სადილის ორგანიზება.

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების ფორმა

2.1 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 304.44 (სამასოთხი ლარი 44 თეთრი) ლარს.

2.3 გადახდა განხორციელდება მომსახურეობაზე შესაბამისი საბუთების წარმოდგენიდან 15 დღის განმავლობაში.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1 ხელშეკრულება მოქმედების ვადა განისაზღვრება მასზე ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრამდე ან/და მხარეთა მიერ მის სრულიად და ჯეროვნად შესრულებამდე.

4. მხარეთა უფლება მოვალეობანი

4.1 დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების ღირებულება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად.

4.2 მომწოდებელი ვალდებულია დამკვეთს ხელშეკრულების დადებიდან 2 დღის განმავლობაში დროულად და ხარისხიანად გაუწიოს მომსახურება.

5. პასუხისმგებლობა

5.1 მხარეები სრულიად აანაზღაურებენ მათი ბრალეული ქმედებით მეორე მხრისათვის მიყენებული ზარალს.

5.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან შესრულების ვადის გადაცილებისთვის შემსრულებელს/დამკვეთს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადავილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებლების 0,2%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ხელშეკრულების ნაწილობრივ

შესრულებას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 2%-ს.

5.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს გამყიდველს ძირითადი ვალდებულების შესრულებიდან.

6.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულება.

6.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით..

7. დავათა გარკვევის წესი

7.1 ყველანაირი დავა, რომელიც წარმოიშვება კონტრაქტთან დაკავშირებით, გადაწყდება მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, მაშინ საქმე დაექვემდებარება სასამართლოს გადაწყვეტილებას.

8. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

8.1 მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი მოვალეობების არასათანადოდ შესრულებული გამოწვეული ზარალის ანაზღა-ურებისაგან, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოების მოქმედებით, რომელთა დადგომა ვერ იქნებოდა წინასწარ ნავარაუდები, ან ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული ჩვეულებრივად წინ დახედული საწარმოს მიერ (ფორს-მაჟორი).ასეთ გარემოებებად მხარეები მიიჩნევენ: ომს, ნებისმიერი ხასიათის საბრძოლო ან სამხედრო მოქმედებებს, დივერსიებს, ბუნებრივ კატასტროფებს, გაფიცვებს, ხანძარს, ხელისუფლებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ისეთ დადგენილებას, რომელიც გავლენას ახდენს მხარეთა მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულებაზე.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები

დამკვეთი	შემსრულებელი
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახემწიფო მინისტრის აპარატი ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7 ს/კ 204469280 სახაზინო სამსახურის კოდი TRESGE22	შპს „სითი ლოფტი“ ქ.თბილისი, კოსტავას ქ. 14 ს/კ 404909934 ბანკი „საქართველოს ბანკი” კოდი BAGAGE22 ანგ. № GE81BG 0000 0008 4654 5900
ვ. [illegible]	ლ. ბერულავა